საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2021 წლის --- ქ. თბილისი

,,ტექნიკური რეგლამენტის – სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N510 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,) ,,ტექნიკური რეგლამენტის – სურსათზე კვებით ღირებულებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განაცხადის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N510 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ" და „ფ" ქვეპუნქტები :

„უ) გლუტენი - ხორბლის (ხორბლის - Triticum ნებისმიერ სახეობა), ჭვავის, ქერის, შვრიის, ან მათი ჰიბრიდული ჯიშებისთვის დამახასიათებელი ცილოვანი ფრაქცია, რომლის აუტანლობა აქვს ზოგიერთ მომხმარებელს, რომელიც არ იხსნება წყალში და ნატრიუმის ქლორიდის 0,5 M ხსნარში";

ფ) სურსათი, გლუტენის აუტანლობის (ცელიაკია) მქონე პირთათვის - განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების სურსათი, რომლის წარმოება, დამზადება და/ან გადამუშავდება ხდება სპეციალურად, იმ პირთა განსაკუთრებული დიეტური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომელთაც ახასიათებთ გლუტენის აუტანლობა.

2. დაემატოს შემდეგი შინაარსის „დანართი N4" :

„დანართი N4

გლუტენის შემცველობასთან დაკავშირებული განაცხადი და მისი გამოყენების პირობები

1.გლუტენის გარეშე ან არ შეიცავს გლუტენს

1.განაცხადი, რომ სურსათი არის გლუტენის გარეშე ან არ შეიცავს გლუტენს და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის, სავარაუდოდ, იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დიეტური სურსათისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა)სურსათი შედგება ან დამზადებულია ერთი ან რამდენიმე ისეთი ინგრედიენტისგან, რომელიც **არ შეიცავს** ხორბალს (ხორბლის - Triticum ნებისმიერი სახეობა), ჭვავს, ქერს, შვრიას (იმ შემთხვევაში, თუ შერეულია ჭვავთან, ქერთან, ხორბალთან) ან მათ ჰიბრიდულ ჯიშებს და მოხმარებისათვის მზა სურსათის ყოველ 1 კგ-ში, გლუტენის შემცველობა არ აღემატება 20 მგ-ს;

ბ) სურსათი, რომელიც შედგება ან დამზადებულია ერთი ან რამდენიმე ისეთი ინგრედიენტისგან, რომელიც **შეიცავს** ხორბალს (ხორბლის - Triticum ნებისმიერი სახეობა), ჭვავს, ქერს, შვრიას (იმ შემთხვევაში, თუ შერეულია ჭვავთან, ქერთან, ხორბალთან) ან მათ ჰიბრიდულ ჯიშებთან და რომელიც, გლუტენის მოცილების მიზნით, დაექვემდებარა სპეციალურ დამუშავებას ისე, რომ მოხმარებისათვის მზა სურსათის ყოველ 1 კგ-ში, გლუტენის შემცველობა არ აღემატება 20 მგ-ს;

გ) სურსათი შედგება ან დამზადებულია ხორბლის (ხორბლის - Triticum ნებისმიერი სახეობა), ჭვავის, ქერის და შვრიის შემცვლელი ერთი ან რამდენიმე ინგრედიენტის/ ინგრედიენტების ან მათ ჰიბრიდული ჯიშების გამოყენებით და

მოხმარებისათვის მზა სურსათის ყოველ 1 კგ-ში, გლუტენის შემცველობა არ აღემატება 20 მგ-ს;

2. განაცხადის „გლუტენის გარეშე“ ან „არ შეიცავს გლუტენს“ გამოყენება დაუშვებელია, თუ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დიეტური სურსათი შედგება ან დამზადებულია როგორც ხორბლის (ხორბლის - Triticum ნებისმიერი სახეობა), ჭვავის, ქერის და შვრიის შემცვლელ ერთ ან რამდენიმე ინგრედიენტს / ინგრედიენტებს ან მათ ჰიბრიდულ ჯიშებს, ასევე ინგრედიენტებს, რომლებიც დამზადებულია ხორბლის (ხორბლის - Triticum ნებისმიერი სახეობა), ჭვავის, ქერის და შვრიის ან მათი ჰიბრიდული ჯიშებისაგან და რომელიც, გლუტენის მოცილების მიზნით, დაექვემდებარა სპეციალურ დამუშავებას.

3. განაცხადის „გლუტენის გარეშე“ ან „არ შეიცავს გლუტენს“ გამოყენება დასაშვებია ნორმალური კვებითი მიზნებისათვის განკუთვნილი იმ სურსათისთვის, რომელშიც, მოხმარებისათვის მზა სურსათის ყოველ 1 კგ-ში, გლუტენის შემცველობა არ აღემატება 20 მგ-ს;

4. განაცხადის „გლუტენის გარეშე“ ან არ შეიცავს გლუტენს გამოყენება დასაშვებია განსაკუთრებული კვებითი დანიშნულების მქონე სურსათისათვის, რომელიც განსხვავდება სურსათისგან, რომელიც განკუთვნილია გლუტენის აუტანლობის მქონე პირთათვის, მაგრამ, მისი შედგენილობის გამო, აკმაყოფილებენ იმ ადამიანების განსაკუთრებულ დიეტურ მოთხოვნებს, რომელთაც აქვთ გლუტენის აუტანლობა, იმ შემთხვევაში, თუ მოხმარებისათვის მზა სურსათის ყოველ 1 კგ-ში, გლუტენის შემცველობა არ აღემატება 20 მგ-ს.

2.გლუტენის დაბალი შემცველობა ან გლუტენის შემცირებული შემცველობა

1.განაცხადი, რომ სურსათი არის გლუტენის შემცირებული/დაბალი შემცველობით და ნებისმიერი სხვა განაცხადი, რომელსაც მომხმარებლისათვის სავარაუდოდ იგივე მნიშვნელობა აქვს, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სურსათი:

ა) შედგება ან დამზადებულია ერთი ან რამდენიმე ისეთი ინგრედიენტისგან, რომელიც **შეიცავს** ხორბალს (ხორბლის - Triticum ნებისმიერ სახეობას), ჭვავს, ქერს, შვრიას (იმ შემთხვევაში, თუ შერეულია ჭვავთან, ქერთან, ხორბალთან) ან მათ ჰიბრიდულ ჯიშებს და რომელიც, გლუტენის შემცირების მიზნით, დაექვემდებარა სპეციალურ დამუშავებას ისე, რომ მოხმარებისათვის მზა სურსათის ყოველ 1 კგ-ში გლუტენის შემცველობა 20 მგ -დან 100 მგ-მდე შეადგენს;

ბ)შედგება ან დამზადებულია როგორც ხორბლის (ხორბლის - Triticum ნებისმიერი სახეობა), ჭვავის, ქერის და შვრიის შემცვლელი ერთი ან რამდენიმე ინგრედიენტის / ინგრედიენტების ან მათ ჰიბრიდული ჯიშებისგან, ასევე ინგრედიენტებისგან, რომლებიც დამზადებულია ხორბლის (ხორბლის - Triticum ნებისმიერი სახეობა), ჭვავის, ქერის და შვრიის ან მათი ჰიბრიდული ჯიშებისაგან და რომელიც, გლუტენის მოცილების მიზნით, დაექვემდებარა სპეციალურ დამუშავებას ისე, რომ მოხმარებისათვის მზა სურსათის ყოველ 1 კგ-ში გლუტენის შემცველობა 20 მგ -დან 100 მგ-მდე შეადგენს“.

მუხლი 2. სურსათი, რომელიც ბაზარზე განთავსებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე და არ შეესაბამება ამავე დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია, ბაზარზე განთავსებულ იქნეს სურსათის „ვარგისიანობის მინიმალური ვადის“ ან „გამოყენებამდე ვადის“ ან „შენახვის ვადის“ გასვლამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი ივნისიდან.